ონის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩაველთა საბჭოს ოქმი №3

ქ.ონი

სხდომის ჩატარების დრო-17.10.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ-მრჩეველთა საბჭოს წევრები.

1. კობა მეტრეველი-მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემარე,ფინანსისტ-ეკონომისტი.
2. ნაზიბროლა გავაშელი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ონის კოორდინატორი
3. რევაზ რაზმაზე - ინდ მეწარმე
4. დალი რაზმაძე - ონის საჯარო სკოლის დირექტორი
5. ისმა ამშიკაშვილი - ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი
6. ელეონორა ნანიშვილი - მოქალაქე
7. პავლე გოგშელიძე - ინდ მეწარმე
8. ინგა მეტრეველი - რაჭის სიძველეთა შესწავლისა და დაცვის ფონდის დირექტორი
9. თამარ ხომასურიძე - ახალგაზრდობის წარმომადგენელი
10. სერგო ხიდეშელი - ონის მუნიციპალიტეტის მერი
11. ლევან შერაზადიშვილი - მუნიციპალიტეტის მერის , მოადგილე
12. ირმა ჩიხრაძე -დეპუტატის ბიურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარე - კობა მეტრეველი

მდივანი - ნაზიბროლა გავაშელი

დღის წესრიგი:

1. კობა მეტრეველი (მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა
2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები 2023 წლის ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად.
3. ევროპის საბჭო,ანგარიში ადამიანის უფლებათა შესაძლებლობების შესახებ
4. დისკუსია: კითხვა- პასუხის რეჟიმი
5. კობა მეტერეველი - (მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე)-სხდომის დახურვა.

საკითხი 1

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი საკითხები

აზრი გამოთქვეს:

მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა მრჩეველთა საბჭოს წევრების მეტ ჩართულობაზე და აქტივობაზე,რათა მოსახლეობის პრობლემები და საჭიროებები მიტანილ იქნას ბატონ მერთან სერგო ხიდეშელთან

ელეონორა ნანიშვილმა ისაუბრა ქუჩების მოწესრიგებაზე (კერძოდ: ფეხით სავალი ნაწილის დალაგება, დასუფთავებაზე)

დალი რაზმაძემ,აღნიშნა რომ სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია მოხდა,მაგრამ გასაკეთებელი და მოსაწერიგებელია სკოლის ეზოს ტერიტორია და ითხოვა ,რომ ეს საკითხი გათვალისწინებულ იქნას მომავალ ბიუჯეტში.მერმა ბატონმა სერგო ხიდეშელმა სკოლის დირექტორს აღუთქვა დახმარება და სთხოვა წერილობით წარმოედგინა დასმული საკითხი.

ნაზიბროლა გავაშელმა ისაუბრა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის და სამხატვრო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებაზე.კერძოდ: ბაზრის ტერიტორიის მხარეს ღობის გაკეთება,ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში საკვამლე მილების გაკეთება.

ბატონმა სერგო ხიდეშელმა დაავალა ინფრასტრუქტურის სამსახურს ხარჯთაღრიცხვის გაკეთება და ამ პრობლემების მოგვარება.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

სერგო ხიდეშელმა მრჩეველთა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა,აღნიშნა ,რომ თითოეული მოქალაქის აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის.

კენჭი ეყარა

სხდომის თავმჯდომარემ წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისათვის.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

კენჭის ყრის შედეგად დაადგინეს 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს დაყენებული საკითხები და ამის შემდეგ იქნეს მოწონებული ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი.

საკითხი 2

ევროპის საბჭო,ანგარიში ადამიანის უფლებათა შესაძლებლობების შესახებ (მომხსენებელი მრჩეველთა საბჭოს წევრი, ახალგაზრდობის წარმომადგენელი თამარ ხომასურიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა,რომ ონის მუნიციპალიტეტი აკმაყოფილებს საქართველოს ადამიანის უფლებების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - შექმნილია შესაბამისი სააგენტოები,სამუშაო ჯგუფები და შემუშავებულია სტრატეგიების ნაწილი.

იმისათვის რომ შეასრულოს საკანონმდებლო მოთხოვნები და ვალდებულებები,ონის მუნიციპალიტეტმა შექმნა შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

1. გენდერული თანასწორობის საბჭო
2. სამოქალაქო საკონსულტაციო საბჭო
3. შ.შ.მ პირების უფლებების საბჭო
4. ახალგაზრდობის საკითხთა საბჭო
5. ბავშვთა და ოჯახის უფლებების დაცვისათვის დანიშნული მოხელე

ადგილობრივი თვითმართველობის კანონის შესაბამისად ონის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩამოყალიბდა მერის მრჩეველთა საბჭო,რომელიც არის შუამავალი რგოლი მერსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.საბჭომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.საბჭოს საქმეა ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვა და რეკომენდაციების გაცემა

აზრი გამოთქვეს:

1. ელეონორა ნანიშვილმა აღნიშნა,რომ მეტი კომუნიკაცია არის საჭირო მრჩეველთა საბჭოს წევრებსა და მოსახლეობას შორის,რათა უფრო კარგად გაიგონ მოქალაქეთა საჭიროებები და პრობლემები.

კენჭი ეყარა:

სხომის თავმჯდომარემ წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისათვის.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

კენჭის ყრის შედეგად დაადგინეს ცნობად იქნეს მიღებული ანგარიში ადამიანის უფლებათა შესაძლებლობების შესახებ.

კრების თავმჯდომარემ-კობა მეტრეველმა მრჩეველთა საბჭოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.



კრების მდივანი: ნ.გავაშელი

17.10.2022 წელი